



# საძთავზის ქვეყნთუანი

1(26) იანვარი 2017

„ძენი  
სოფლი  
გნის უნაზიდა,  
ძნადუაღუაძიფნი  
კათაღოუთსი“





გულითადად მივესალმები სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ და-  
არსებული ჟურნალის „სამთავროს მაცვლოვანის“, – გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით,  
თუ მისი შემდგენელი შექმნებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწ-  
მინდენი, ბერ-მონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის  
ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორცაა ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრა-  
ფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყოფს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექ-  
ტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „სამთავროს მაცვლოვანის“ გამოცემელი და  
მკითხველი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

ქილი—II

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

ISSN 2346-7738  
შპმ (UDC) 27 + 271.2  
8 – 407

	<b>სსაშმგრდ</b> შუალ-სახმთას სამთავრო სამსახრო	სამთავრო რედაქციის № 121
	სამთავრო რედაქციის №.....	19 12 15 სსაშმგრდ
დასახელება: ქუჩისა და მუდროკატი		
რედაქცია: მკითხველი დასუ კაცნოტ		



# სარჩევი

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო! .....	4	მშობლების მიერ	
გორგასლიანთ მადლით მოსილნი .....	6	შვილების დალოცვა .....	24
დედის წერილი		უწმიდესი უკვე 30238 ბავშვის	
კათოლიკოს-პატრიარქს .....	7	ნათლია .....	25
პატრიარქის მოგონებები .....	8	საუკუნის პროექტი –	
უწმიდესის სახლი მცხეთაში .....	11	საყოველთაო ჯვრისწერა .....	25
უწმიდესის ნათლია .....	12	„ჩემი პატრიარქობის პერიოდში	
უწმიდესის სულიერი მოძღვარი,		ყველაზე დიდ საქმედ შვიდგზის	
არქიმანდრიტი შიო (ძიძავა) .....	14	ლოცვის აღდგენა მიმანია“ .....	26
საეკლესიო ტიპიკონი .....	16	უწმიდესი და	
უფლის საჩუქარი –		წმიდა მამა გაბრიელი .....	27
პატრიარქის „ალილუია“ .....	18	„გაიხარე და გამახარე!“ .....	28
39 წლის წინ მცხეთაში .....	23	ვერიკო ანჯაფარიძის სტუმრობა	
პატრიარქმა „ბავშვების დალოცვის“		პატრიარქთან .....	29
ტრადიცია აღადგინა .....	24	იღუმენიობის 25 წელი .....	32
		სამთავროს მონასტერში	
		მუზეუმი დაარსდა .....	36

## ჟურნალზე მუშაობდნენ:

არქიმანდრიტი ლახარე (გაგნიძე),  
 იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი),  
 იღუმენია თეკლე (გველეხიანი)  
 თეა ცაგურიშვილი, თამარ მამაცაშვილი,  
 მაკა სიმონიშვილი, სალომე ზვიადაძე,  
 რეზო თხილიშვილი, მონოზონნი:  
 სოსანა (კუპრეიშვილი), ნინო (სამხარაძე),  
 სერაფიმა (მეტრეველი), იოანა (ნიშნიანიძე).

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი მადლობას უხდის და ლოცავს გამომცემლობა „შარავანდის“ ხელმძღვანელს ბატონ თამაზ შარიქაძეს.



## **უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!**

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით გილოცავთ აღსაყდრებიდან 39-ე და დაბადებიდან 84-ე წლის იუბილეს.

„დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი!“

ღვთის განგებამ გამოგარჩიათ და 1977 წლის 25 დეკემბერს დაგადგინათ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და ერის სულიერ მწყემსმთავრად და აქედან დაიწყო ჩვენი ერის შემობრუნება უფლისა და ეკლესიისაკენ. გვახსოვს თქვენი უღამაზესი კვირის წირვები, ხალხით გადაჭედილი სიონის ეზო-ტაძარი, გუნდის გალობა, თქვენი საცეცხლურის საკმევლის სურნელი და შეგრძნება, თითქოს მიწაზეც არ გვედგა ფეხი!

განუზომელია თქვენი ღვაწლი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე, – ჩამოთვლის, – მაგრამ თქვენი პატრიარქობის იმ პირველი წლების სიხარულს არაფერი შეეღრება. ადამიანები ბედნიერები იყვნენ, – უყვარდათ ღმერ-

თი, უყვარდათ ქვეყანა, უყვარდათ ერთმანეთი და ეს თქვენით, რადგან თქვენ გვასწავლეთ, რომ „ღმერთი სიყვარული არს“ და მისკენ მიგვიძღვებოდით.

ეს გზა – სიყვარულის ღმერთთან მიმყვანებელი – დღემდე გრძელდება. ვიწროა, ძნელსავალი, სიხარულთან ერთად, ტკივილიანი, – განსაკუთრებით წინამძღოლისთვის, – მაგრამ თქვენ, ყოველთვის იმედიანი, არაფერს იმჩნევთ კაცის თვალისთვის; მხოლოდ უფალმა უწყის, რა გადაიტანეთ ამ 39 წლის მანძილზე; რა შექელით, როცა სამკალი ფრიად იყო და მუშაკი არა, როგორ ამრავლეთ თქვენი და სხვისი საზეპურო და საქვეყნო საქმეები, მუდამ გვასწავლით, როგორ ავადორძინოთ ღვთის ბოძებული ტალანტი.

თქვენ შექმენით ახალი ეპოქა უძველესი ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა, – რაც უადრესად მნიშვნელოვანია, – მიადწიეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარებას, აღადგინეთ ეპარქიები, დააარსეთ სასულიერო და საერო უმაღლესი სასწავლებლები, თქვენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მამად გიცნობთ მსოფლიო და, რაც მთავარია, თქვენ თქვენი ხალხის, მთელი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის შარავანდი გმოსავთ, – თქვენ ხართ ანთებული სანთელი სასანთლესა ზედა, რომელსაც ყველა ხედავს და აქებენ მამასა თქვენსა ზეცათასა. ეს ნათელი მიგვიძღვის ყველას ღვთისა და ერის საკეთილდღეო, რწმენისა და შრომის გზაზე, გვამხნევენს, გვაძლიერებს..

არ მოგვკლებოდეს ნათება მისი და თქვენი მწყემსმთავრული ღოცვა-კურთხევა მრავალსა წელსა, მრავალჟამიერ!

მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი



## გორგასლიანო მადლით მოსილნი

ღუღუშაურების გვარზე პირველი წერილობითი ცნობები ჩანს XV-XVIII საუკუნეების გერგეტის სამების "სულთა მატიანეში". XVI საუკუნის მოსახსენებელში ვკითხულობთ: "სულსა მოძღვრისა ღუღუშაურისა ჯერასიმესა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. მეუღლესა მისსა რუსუდანს შეუნდოს ღმერთმან. ამინ... სულსა ღუღუშაურისა მოძღვრისა გიორგისა შეუნდონ ღმერთმან, მისსა მეუღლესა ანას, შეუნდონ ღმერთმან, მათსა შვილსა" (შვილის სახელის ამოკითხვა ხელნაწერის სიძველის გამო ჭირს)... ხევის რომელ ეკლესია-მონასტერში მოღვაწეობდნენ მოძღვარი ჯერასიმე (იგივე გერასიმე) და მოძღვარი გიორგი, ამის შესახებ მემატიანე არაფერს გვამცნობს.

სოფელ კვირაის ძალთაი იყო ღუღუშაურების პირველი საცხოვრისი. შემდეგ ჩამოსახლდნენ ქვემოთ და წინაპრის, სნოს, პატივსაცემად ამ ადგილს "სნო" დაარქვეს, ძველი ნამოსახლარი, მთის ადათისამებრ, სალოცავად გაიხადეს.

ლეგენდის მიხედვით, სნოს თავი გამოუჩენია ვახტანგ გორგასლის მეტაურობით აღანებთან ბრძოლაში. მეფეს მისთვის ციხის აშენების ნება დაურთავს და ვაჟიშვილი ღუღუშაც მოუნათლავს. აქედან იღებს სათავეს ღუღუშაურების გვარი. "დავლათი ღუღუშაურთა ღვთისგან აქვს ნაბოძვარია", – ამბობს ხალხური ლექსი. როგორც ჩანს, წმიდა ვახტანგ გორგას-

ლის მადლის მატარებელი ღუღუშაურები გამორჩეულნი იყვნენ ხევში. ხალხური პოეზიიდან და ისტორიული წყაროებიდან ცნობილია ღუღუშაურების გვარის რამდენიმე წარმომადგენელი: შიოლა, შარამბალი, პაპაი, მამუკა, გივი, შამახალა და მარტია.

ყველაზე მეტი ცნობა მოიპოვება შიოლა ღუღუშაურის შესახებ. იგი ცხოვრობდა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I ნახევარში, თეიმურაზ I-ის, გიორგი სააკაძის, ნუგზარ და ზურაბ არაგვის ერისთავების ხანაში.

გადმოცემით, შიოლას მარაბდის ომში უსახელებია თავი და ჯილდოდ ვერცხლის იარაღი დაუმსახურებია (ნიკოლოზ ბერძენიშვილი, "ღუღუშაურების ამბავი"). შიოლას დროს აშენდა ციხე სნოში, ვახუშტი ბატონიშვილი მას ღუღუშაურის ციხედ მოიხსენიებს: "აქ არის ციხე ღუღუშაურისა მცირე, არამედ ფრიად მაგარი". სნოს ხეობა და მდინარე, გვიანდელი წერილობითი წყაროებით, მოიხსენიება, როგორც ღუღუშაურის ხეობა და ღუღუშაურის



წყალი. ეს მიუთითებს, რომ შიოლა ღუღუშაური სამემკვიდრეოდ თუ სამოხელეოდ ფლობდა სნოს ხეობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, ვინაიდან ამ ხეობაზე გადიოდა თბილისთან ჩრდილოეთ კავკასიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რომლის საიმედო დაცვა ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

შიოლა ღუდუშაურის დიდმა შთამომავალმა, ჩვენმა უწმინდესმა, ღუდუშაურის წყლის პირას, ღუდუშაურის ციხის პირდაპირ აღმართა მისი ძეგლი, გაიხსნა მისივე

სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. სტეფანწმინდისა და ხევის მმართველი ეპისკოპოსის რეზიდენციამ ამ ცენტრში დაიღო ბინა.



**ღედის წერილი  
კათოლიკოს-პატრიარქს**

„მოკითხვა ჩემს საყვარელ შვილს, ძვირფასს, ოქროს და ბრილიანტს. შევნატრი ღმერთს შენს ჯანმრთელად სიცოცხლეს, ჩემო გულო...“

ეხლა მივიღეთ შენი დეპეშა, რომელშიც იწერები, როგორ ჩახვედითო. ჩვენ კარგად ჩახვედით, ორი დღე მცხეთას დავრჩით, მერე სუყველანი ერთად წამოვედით... აქ ახალი არაფერია... მოკითხვა ყველას, შენს კეთილებს და შენს ერთგულს ქართველებსაც და რუსებსაც.

კარგად იყავ, ჩემო სიცოცხლე, ღმერთი იყოს შენი მფარველი ყველა საქმეში და ყველა ბიჯზე, ვთხოვ და ვეხვეწები ღვთისმშობელს, რომ გიფარავდეს და გიხსნიდეს ბოროტისაგან.

გწერს შენი დედაი, შენი გზის მაყურებელი“.

\* \* \*

უწმიდესის დაბადების დღისადმი მიძღვნილი

გამჩენმა იცოდა  
რომ იყო რჩეული,  
ღედის მუცლიდანვე  
გამორჩეული.  
მტრედი დაგოგმანებს  
ისიც რჩეულია,  
ღუდუნით იბახის  
გამორჩეულია.  
მამა გიორგია  
ღედა ნატალია,  
ორივემ იცის რომ  
მტრედი მართალია.

ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი  
ელისე (ჯოხაძე)  
2003წ.

## პატრიარქის მობონებები


„...მამას და ბიძას პურის საცხობი ჰქონდათ. პურს აცხობდნენ და იქ ცხოვრობდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდნენ და იქიდან ჩამოჰქონდათ ხორბალი, სიმინდი... ერთხელ, ღამით, მამაჩემის ერთი ნაცნობი მოვიდა და გვითხრა: „მოსკოვიდან მათი სია გამოგზავნეს, ვინც უნდა გავაკულაკოთ. თქვენც ამ სიაში ხართ“. მშობლებმა დროებით დატოვეს საქართველო და ვლადიკავკაზში გადავიდნენ საცხოვრებლად, იქ სახლი იყიდეს. აი, ასე გადავედით ოსეთში...“

მოგვიანებით მამაჩემმა შეიძინა მიწის ორი ნაკვეთი ჩვენს ქუჩაზე, ვლადიკავკაზში და იქ მოაწყო ყოვლადწმინდა ღვთისმ-

შობლის საფარველის სახელობის სამლოცველო (ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ან მის უკანასკნელ წელს). ამ სამლოცველოში კარგი მოძღვრები მსახურობდნენ. მე ისინი ძალიან მიყვარდა; როდესაც ჩვენთან სტუმრად მოდიოდნენ და საკიდზე შესამოსელს ტოვებდნენ, ჩუმად შევიპარებოდი ხოლმე იმ ოთახში და ანაფორას ვიცვამდი. ღვთისმსახურებაზე მუდამ ამბიონთან ძალიან ახლოს ვდებოდი ხოლმე, რათა დიაკონი აღსავლის კარში რომ შევიდოდა, მის შესამოსელს შევხებოდი. მაშინ 10-12 წლისა ვიყავი. აი, როგორ ოჯახში ვიზრდებოდი. ამან განაპირობა ჩემი ცხოვრების გზა...“

\*\*\*

„მე აღვიკვეცე მაშინ, როდესაც ბერობა ილეოდა საქართველოში. მასხენდება ის დღე, როცა წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელი მეწოდა. საქართველოს ეკლესიის სატყემპყრობელი მაშინ უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკი ბრძანდებოდა. მან მეუფე ზინობს დაურეკა და უთხრა: „დღეს თქვენთან სტუდენტი მოვა და აღკვეცეთ ბერად“. სხვა არაფერი უთქვამს. ჩემი აღკვეცა წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში შედგა. დიდი მარხვის ბოლო კვირა, ვნების შვიდეულის სამშაბათი იყო. ჩემს აღკვეცას არ ესწრებოდა არც ერთი ქართველი. აი, ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროს საქართველოს ეკლესია. ერთ-ერთმა სასულიერო პირმაც იგივე მითხრა: თქვენ რომ ჩაიბარეთ საქართველოს ეკლესია, მას სუდარა ჰქონდა გადაფარებული. გარეგნულად თითქოს მართლაც ასე იყო, მაგრამ ზეციური საქართველოს შემწეობა ცხოვლად იგრძნობოდა; ყოველთვის ასე იყო, ასეა დღეს და





ასე იქნება კვლავაც. ზეციური საქართველოს, ჩვენი დიდი წინაპრების, ზეციური მხედრონის ლოცვა-ვედრება ჩვენი ეკლესიის ძლიერების აღსადგენად ღმერთმა შეისმინა...”

\*\*\*

ეფრემ II განსაკუთრებული პიროვნება გახლდათ და იგი ხშირად წინასწარმეტყველებდა. ამასთან დაკავშირებით მრავალი

ტყვები აღსრულდა...

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემი შვიდი წელი გადასახლებაში იყო. რეპრესიამდე იგი წირვას წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში აღასრულებდა, იქვე ჰქონდა რეზიდენციაც. სწორედ იქ დააკავეს იგი გვიან ღამით. მოგვიანებით გვიყვებოდა: როდესაც კარს ვკეტავდი, კვერთხი დამიფარდა და შეგრძნება გამიჩნდა, რომ აქ კვლავ დაებრუნდებოდი. მას ათი წლით გადასახლება



მაგალითის მოყვანა შემძლია; ახლა ერთი შემთხვევა მახსენდება: მაშინ სასულიერო სემინარიის რექტორი ვიყავი. ერთხელ მივედი მასთან და სტუდენტების დაწერილი თხზულებები მივუტანე.

იმხანად სულ ექვსი-შვიდი სტუდენტი გვყავდა. მან წაიკითხა ეს ნაშრომები და ერთ-ერთ სტუდენტზე მითხრა, – ეს კაცი საქართველოს ეკლესიის მტერი იქნებაო... იგი ძალიან ნიჭიერი და კარგი სტუდენტი და რატომ ამბობთ მასზე ამას-მეთქი? – შევწუხდი. გავიდა დრო და მისი სი-

მიუსაჯეს, თუმცა შვიდი წლის შემდეგ შინ გამოუშვეს. გადასახლებიდან დაბრუნებულმა, უპირველეს ყოვლისა, წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარს მიაშურა. გზად ფიქრობდა: ტაძრის კარიდან საკურთხევლამდე მუხლის ჩოქით მივალ და პირველი ხატი, რომელსაც დავინახავ, იქნება ჩემი მსხნეულიო. ამ ფიქრებით მიუახლოვდა ეკლესიას. ტაძრის ზღურბლთან მუხლი მოიყარა და ჩოქვით საკურთხევლისკენ გაემართა. თავიდან იგი ვერავინ იცნო, რადგან ანაფორა



\*\*\*

უწმიდესის საგანგებო წერილი აფხაზებისადმი, 1992 წლის აგვისტო:

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ დიდ გულისტკივილს იმის გამო, რომ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, კვლავ იღვრება სისხლი გარეშე ძალების ჩარევით. ეს ის ძალები არიან, რომელნიც ასაზრდოებენ ცენტრიდანულ ელემენტებს, ისინი კი, უტოპიური იდეებით შეპყრობილნი, მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის დაყოფას; მაგრამ ეს ცდები ამაოა. აფხაზეთი ისეთივე განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, როგორც ქართლი, იმერეთი, სამეგრელო... საუკუნეთა მანძილზე ჩვენ და აფხაზი ხალხი ვცხოვრობდით ერთად და კვლავაც ვიცხოვრებთ; ჩვენ გვაკავშირებს არა მარტო ერთი მიწა-წყალი, არამედ ნათესაური კავშირი და ურთიერთპატივისცემა.

... მამაშვილური სიყვარულით მივმართავ ყველას: ნუ ჩაიდნთ დანაშაულს, რომლისაც მერე შეგრცხვებათ; ვიცხოვროთ დალოცვილ საქართველოში ერთად, მშვიდობითა და თანხმობით... მივმართავ მთავრობას და ყველას, ვისაც კი ეხება: გააკეთეთ ყველაფერი, რათა შეწყდეს სისხლისღვრა და მოლაპარაკების მაგიდასთან, სამართლიანად გადაწყდეს პრობლემები. სიყვარულმა, სიმართლემ და კეთილგონიერებამ უნდა გაიმარჯვოს და მწამს, ასეც იქნება...“

პირადი არქივიდან

არ ემოსა, პატიმრის ქურთუკით იყო... ბოლოს მაინც იცნეს, პირველი ხატი კი, რომელიც დაინახა, წმინდა სერაფიმე საროველის ხატი აღმოჩნდა. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემი იგონებდა, რომ ადრე ამ ხატს სხვა ხატებისაგან არაფრით განასხვავებდა, ამის შემდეგ კი იგი განსაკუთრებულად შეუყვარდა.

მთავრობას და ყველას, ვისაც კი ეხება: გააკეთეთ ყველაფერი, რათა შეწყდეს სისხლისღვრა და მოლაპარაკების მაგიდასთან, სამართლიანად გადაწყდეს პრობლემები. სიყვარულმა, სიმართლემ და კეთილგონიერებამ უნდა გაიმარჯვოს და მწამს, ასეც იქნება...“



## უწმიდესის სახლი მცხეთაში

ვლადიკავკაზიდან გადმოსულმა გიორგი შიოლაშვილმა მეუღლის, ნატალიას, გარდაცვალების შემდეგ მცხეთაში შეიძინა კარმიდამო. მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორობის უამს სწორედ ამ სახლში ცხოვრობდნენ მომავალი საქართველოს პატრიარქი და მისი ძმისშვილი, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის დიმიტრის, უფროსი ძმა, გიორგი, რომელიც 45 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. იგი უვლიდა წინაპრების კერას და ცალკე სახლის აშენებასაც ფიქრობდა. ეზოში საძირკველიც გაუთხრია, მაგრამ არ დასცალდა...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2006 წელს შიოლაშვილების ისტორიულ სახლში მამათა მონასტერი დაფუძნდა; გოგი შიოლაშვილის მიერ გათხრილ საძირკველზე აშენდა წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი, იქვე ახლოს კი წმიდა ნატალიას სახელობის ეკლესია უწმიდესის დედის სულის საოხად.

მამათა მონასტერში უწმიდესის ნივთებია შემონახული: მაცხოვრის, დვთისმშობლისა და წმიდა ნიკოლოზის ხატები, საწერი მაგიდა, სავარძელი, ტუმბო. პატრიარქის ძმისშვილებმა ნატალია და რუსუდან შიოლაშვილებმა გაიხსენეს ამ ძირძველ სახლში უწმიდესთან ერთად გატარებული წლები:

„უწმიდესი ზაგორსკის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ საქართველოში ახალი ჩამოსული იყო, როდესაც მცხეთაში, სამთავროს წმიდა ნინოს მონასტერში სასულიერო სემინარია გაიხსნა. მაშინ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი ეფრემ II ბრძანდებოდა. მას განსაკუთრებით უყვარდა უწმიდესი, მოფერებით ირაკლის ეძახდა. იგი ხშირად სტუმრობდა შიოლაშვილების კარმიდამოს მცხეთაში. ერთ-ერთი სტუმრობის დროს უწმიდესი შინ

არ დახვედრია და დაუტოვებია ბარათი: „ირაკლი, შენთან ვიყავი და შინ არ დამხვდი. შენი რძალი დამხვდა. ძალიან მეწყინა, რომ ვერ გნახე“. მცხეთის სახლში ბევრი სტუმარი მოდიოდა. შემინულ აივანზე ყვავილებით სავსე საზამთრო ბაღი სტუმრების მისაღებად ჰქონდათ მოწყობილი.

პატრიარქის დედას, ნატალიას, სურდა, მისი შვილი დაოჯახებულიყო. მან ზაგორსკის სემინარიის დამთავრების შემდეგ ტელეფონით დედას აცნობა, მოვლივარ და ჩემი ცოლ-შვილიც მომყავსო. ნატალიას გახარებია, მაგრამ თურმე ბერად აღკვეცილა და ოჯახში ბერობას გულისხმობდა უწმიდესი.

ძალიან კარგად გვახსოვს სვეტიცხოველში უწმიდესის აღსაყდრება, – იხსენებენ დები. – მაშინ სკოლის მოსწავლეები ვიყავით. ტაძ-



წმიდა გიორგისა და წმიდა ნატალიას ტაძრები

არში სპეციალური საშვით უშვებდნენ. სვეტიცხოველის ეზო ხალხს ვერ იტევდა. ჩვენი ოჯახისათვის დიდი სიხარული იყო ჩვენი ბიძის პატრიარქად კურთხევა. ის მთელი საქართველოს იმედი და მხსნელია. უწმიდესის ლოცვით ღმერთმა გაამთლიანოს საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.“

თეა ცაგურიშვილი

## უწმიდესი ნათლია

იღუმენია ზოილე დვალიშვილი (ერში ეკატერინე სპირიდონის ასული) სამთავროს დედათა მონასტერს 1960-73 წლებში წინამძღვრობდა. იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II -ის ნათლია გახლდათ.



შიოლაშვილების სამი დღის ახალშობილი ვაჟი ქრისტეშობის დღეს მონათლეს ძაუგის (ვლადიკავკაზის) წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში. ყრმას მეფე ერეკლეს პატივსაცემად ირაკლი დაარქვეს. ნათლობის საიდუმლო შეასრულა კათოლიკოს-პატრიარქი კირიონის ყოფილმა მდივანმა, არქიმანდრიტმა ტარასიმ (კანდელაკი), რომელიც შემდგომში ხელდასხმულ იქნა წილკნის ეპისკოპოსად (დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ეზოში). დედა

ზოილეს ხშირად დაჰყავდა თავისი ნათლული სამთავროში.

პატრიარქი იგონებს: „სულ პატარა ვიყავი, იქ რომ დავდიოდი ჩემს ნათლიასთან, დედა ზოილე დვალიშვილთან. იგი იყო უკანასკნელი წინამძღვარი ბედიის მონასტრისა, რომლის დროსაც ხსენებული მონასტერი დახურეს. ღამით დედები იქიდან გამოიქცნენ და დაიფანტნენ. უწმიდესმა კალისტრატემ (ცინცაძე) ისინი სხვადასხვა, ჯერ კიდევ მოქმედ მონასტრებში გაანაწილა, ზოგი მათგანი ოჯახებს დაუბრუნდა და იქ დაიწყო მოღვაწეობა“.

კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) კურთხევით დედა ზოილე გადაიყვანეს მედავითნედ ვლადიკავკაზის ქართულ ეკლესიაში, რომელსაც წინამძღვრობდა არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი). დასანანია, რომ არ მოიპოვება საარქივო მასალები დედა ზოილეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. „დიდი მცდელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, მასზე მხოლოდ რამდენიმე მოგონება და საარქივო დოკუმენტი მოვიძიე, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ დედა ზოილეს სრულყოფილი მატრიანე მისივე უღრმესი, მანათობელი თვალები იყო, – უხმო მოწმობა ღვთისთვის მიძღვნილი სიცოცხლისა“, – იგონებს უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

ღვთის განგებითა და დედა ზოილეს წყალობით, სამთავროში ერთმანეთს შეხვდა საქართველოს ორი პატრიარქი, – ქართველი ერის სათაყვანებელი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) და ჯერ კიდევ სამი წლის ირაკლი შიოლაშვილი-ღუდუშაური. პატრიარქისაგან პატარას ლოცვა -კურთხევა მიუღია. დედა ზოილეს პატრიარქისთვის უთქვამს: ეს გიორგი და ნატალია შიოლაშვილების შვილიაო, რაზეც უწმიდესს უპასუხია: „ვიცნობ ამ ოჯახს და ვლოცულობ მათთვის“.

დედა ზოილე დვალიშვილი შესანიშნავი საეკლესიო მოღვაწე, დიდად მორწმუნე და საღვთო მსახურების საუკეთესო მცოდნე გახლდათ. მას სამთავროს დედათა მონასტრის აღორძინებაში დიდი წვლილი შეუტანია. ილია II-ის თხოვნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ II-ს სამთავროს მონასტრისათვის გაწეული დვაწლის აღსანიშნავად იღუმენია ზოილე (დვალიშვილი) ოქროს ჯვრით დაუჯილდოვებია.

დედა ზოილე მონოზენებს ურჩევდა, ღამით ღვთისმშობლის დაუჯდომელი ეგალობათ; „მონოზონმა ეს საგალობელი ზეპირად უნდა იცოდესო“. თავის საუბრებში ხშირად იტყოდა ხოლმე: „მონასტერში იღუმენია ღვთისმშობელია, მე მხოლოდ ტრაპეზარი ვარ, რომელიც დედებს პურს უნაწილებსო“. როდესაც ჰკითხეს, თქვენს შემცველად ვის ამზადებთო, მიუგია: „სიკვდილის წინ იღუმენიას კვერთხს კელიასთან ავაყუდებ, ჰოდა, ვინც ისურვებს, მივიდეს და აიღოსო.“

„შიმშილობის წლებში ძალიან გვიჭირდა, მაგრამ არ ვშიმშილობდით. როდესაც საკვები გვითავდებოდა, უფალი სასწაულებრივად გვიგზავნიდა იმდენს, რამდენიც საჭირო იყო და მაშინ, როდესაც ეს საჭირო იყო. თუ ბერები და მგლები ღამით დაიძინებენ, მშვივრები დარჩებიანო“. – ამას დედა ზოილე ლოცვის შესახებ ამბობდა.

ერთხელ დედა ზოილეს ჰკითხეს, ერისკაცებთან საუბრისას შინაგან ლოცვას ხომ არ კარგავო. მან უპასუხა: „როდესაც ერისკ-

აცებს ვესაუბრები, უფრო მეტად ვუსმენ, ვიდრე ვლაპარაკობ. ამ დროს ჩემთვისაც ვლოცულობ და მისთვისაც და იესოს ლოცვას წარმოვთქვამ სიტყვებით: „შეგვიწყალებენ ჩვენ“.

„ახალგაზრდობაში ვნებები მებრძოდნენ და მწუხრის ლოცვების შემდეგ ღამით ჩუმად მთაზე, იოანე ზედაზნელის მონასტერთან, მივდიოდი, მის კედელთან ვლოცულობ-



პატრიარქი ეფრემ II, არქიმანდრიტი ილია, იღუმენია ზოილე, სამთავროს დედები


დი და მონასტერში ცისკრის ლოცვისთვის ვბრუნდებოდი. აცრემლებული მივდიოდი და მხიარული მოვდიოდი, თითქოს ტვირთი წმინდანთან დამეტოვებინაო“. – იგონებდა დედა ზოილე.

სამთავროს დედათა მონასტრის ღირსეული წინამძღვარი, იღუმენია ზოილე (დვალიშვილი) 1973 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია სამთავროს ეზოს ჩრდილოეთით, გალავანთან.

მოამზადა მონოზონმა იოანამ (ნიშნიანიძე)

## უწმიდესის სულიერი მოძღვარი, არქიმანდრიტი შიო (ძიძავა)

არქიმანდრიტი შიო – ერისკაცობაში სპირიდონ პეტრეს-ძე ძიძავა – დაიბადა 1882 წლის 1 ივნისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხორშში. სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ გურია-სამეგრელოს



ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) 1913 წლის 29 სექტემბერს დიაკვნად აკურთხა. მამა სპირიდონი სიმდაბლით, მორჩილებითა და დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა, მალევე მღვდლად აკურთხეს და უფლისკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს.

კომუნისტების დროს, როდესაც ეკლესია-მონასტრები იხურებოდა და მსახურება აღარ სრულდებოდა, მამა სპირიდონს არ

შეუწყვეტია მსახურება და სახლში აღასრულებდა ნათლობას, წესს უგებდა მიცვალებულებს და შეძლებისდაგვარად მოქმედ ტაძრებში ეხმარებოდა და ადავლენდა ღვთისმსახურებას. სტალინის ბრძანებით, როდესაც ეკლესია-მონასტრები გაიხსნა (1943 წ.), მამა სპირიდონი გახარებული შეუდგა ღვთისმსახურებას. მსახურობდა ქუთაისში „მწვანეყვავილას“ მთავარანგელოზთა ტაძარში. ხშირად ჩადიოდა ბათუმში, განსაკუთრებით დიდ მარხვაში, რადგან იმ დროისთვის საქართველოში მოძღვართა ნაკლებობა იყო.

მამა სპირიდონი ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ეფრემის (სიღამონიძე) ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და მამა შიო ეწოდა. 1954 წელს იღუმენის ხარისხში აიყვანეს, ხოლო 60-იან წლებში არქიმანდრიტის წოდება მიიღო. ამ დროს შეხვდნენ და დაახლოვდნენ არქიმანდრიტი შიო და უწმინდესი. მამა შიო პატრიარქის მოძღვარი იყო. როგორც უწმინდესის ერთ-ერთი ინტერვიუდან ვგებულობთ, მოძღვარმა გარდაცვალებამდე უწინასწარმეტყველა პატრიარქობა. ეპისკოპოსმა ილიამ მოძღვარი აზიარა და ბოლო ამოსუნთქვამდე მის გვერდით იყო. არქიმანდრიტი შიო 1969 წლის 1 მაისს გარდაიცვალა. დასაფლავებულია თეკლათის დედათა მონასტრის ეზოში.

თეკლათის დედათა მონასტერი იმ დროს ძლიერი მონასტერი იყო, ბევრი მონოზონი მსახურობდა, მათ შორის, არქიმანდრიტი შიოს ბიძაშვილები, დები, სქემმონოზონი მარიამი და მონოზონი ანა (ძიძავები). სქემმონოზონი მარიამი განსაკუთრებით გამოირჩეული იყო სიმდაბლით, სათნოებით, უბრალოებით. მისი სენაკიც უბრალო და სიყვარულით სავსე იყო. ბალიშის ნაცვლად ხის მორი ჰქონდა. ასკეტურად ცხოვრობდა, აღთქმა ჰქონდა დადებული და სიკვდილამდე 25 წლის განმავლო-

ბაში მიწაზე ფეხი არ დაუდგამს. ამქვეყნიდან  
ისე გავიდა, 1973 წელს, მიწას არ შეხებია.  
მაღევე, 1975 წელს, მისი და, მონოზონი ანაც  
გარდაიცვალა. ორივე თეკლათის დედათა  
მონასტრის ეზოშია დაკრძალული.

არქიმანდრიტი შიოს ლოცვა შეეწიოს  
სრულიად საქართველოს!  
აქვე ვბეჭდავთ არქიმანდრიტი შიოს  
წერილს.

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, მეუფეო ჩვენო,  
ეპისკოპოსო ილიავ!

აწ და მარადის მხურვალედ ვევედრები ყოვლადწმიდა სამებას, რათა  
მან, ყოვლისშემძლებელმან, მომადლოს თქვენს მეუფებას ყოველივე სიკეთე  
ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი მღვდელმთავრულ მოღვაწეობასში. და  
ღიადნი აღმატებანი და წარმატებანი ჩვენი ეკლესიისა და მამულის  
საკეთილდღეოდ...

დღეს, 26 მაისს, მივიღე თქვენი მეუფებისაგან დეპეშა, რომლითა მებრძა-  
ნება, გამოგიგზავნოთ ბერი კონდრატე თოდუა, ალბათ მის შესაფერ  
ადგილზე დასაყენებლად. ამ ამბავმან მე დიდად მასიამოვნა. ჩემს მე-  
გობარს კონდრატეს კი უადრესად გაახარებდა, ვინაიდან დიდი ხანია,  
რაც იგი ოცნებობს მონასტერში თავის საბოლოო ცხოვრების მოწყ-  
ობაზე. სამწუხაროდ, ორი დღეა, რაც კონდრატე ბერი ბათუმიდან წა-  
სულია და არ ვიცი, ამჟამად სად იმყოფება, თორემ წერილს მივწერდი,  
შევატყობინებდი თქვენი მეუფების მამობრივ ყურადღებაზე და იგიც  
გამოეშურებოდა მცხეთაში თავისი საქმის გამოსაწყობად. ვეცდები, რაცხა  
ფერად შევატყობინო მას საქმის მდგომარეობა, რაც შეიძლება დაგვიან-  
დეს, მაგრამ ამით საქმე ხომ არ გაფუჭდება?

ბევრ-ბევრ რამეებზე თქვენს მეუფებასთან მჭირდება სჯა-ბაასის გამა-  
რთვა და გამორკვევა ორთავესათვის – მოძღვრისა და მოწაფისათვის –  
საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ, მაგრამ ეგ ამ პატარა ფურცელზე  
არ მოთავსდება და გადაიდება მახლობელ დრომდე. ე.ი. ჩვენს პირისპირ  
შეხვედრამდე.


ბოლოს, კიდევ ვუსურვებ თქვენს მეუფებას მრავალჟამიერ ბედნიერ  
ცხოვრებას და ქართველთა ხალხის იმედების გამართლებას.

1965 წ. 26 მაისი.  
მარადის თქვენი მლოცველი  
სულიერი მოძღვარი.  
არქიმანდრიტი შიო (ძიძავა)

## საეკლესიო ტიპიკონი

საეკლესიო ტიპიკონი არის წმიდა მამე-ბისაგან შედგენილი, იგი სრულდება მრავალი საუკუნის მანძილზე და ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, შევცვალოთ იგი.

1963 წელს ღვთის დიდი წყალობითა და მათი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ევრემ II-ის (სიდამონიძის) მრავალი შრომითა და ღვაწლით გაიხსნა საქართველოში სასულიერო სასწავლებელი. გახსნისთანავე მე დამევალა ხელმძღვანელობა ამ სემინარიისა.



უწმიდესი, მცხეთის სემინარიის რექტორი

მათი უწმინდესობის წინადადებით, სხვა საგნებს შორის, მე მივიღე ლიტურგიკა. ლიტურგიკა – ძალიან საინტერესო საგანია. ამ საგნის სწავლით მორწმუნე ადამიანი შეიტყობს და გაიგებს წირვა-ლოცვის დიდ შინაარსს, მის სულიერებას, მის სიდიადეს. ლოცვების სერიოზული გაცნობით ადამიანი ჩასწვდება ღვთისმეტყველების ღრმა საკითხებს. ეკლესიაში არაფერია შემთხვევითი, ყველა საგანსა და მოქმედებას აქვს დიდი სიმბოლური მნიშვნელობა. ლოცვა არის დიალოგი ღმერთსა და კაცს შორის, ლოცვა არის საზრდო ადამიანის

სულის. ლოცვით ადამიანი სწვდება მიუწვდომელს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, თუ რამდენად ღრმა და გულითადი უნდა იყოს ჩვენი ლოცვა; უკეთესი ჩვენი წირვა-ლოცვა იქნება გარეგნული, ცივი, ამას სჯობია სულ არ შევასრულოთ ლოცვა. წმიდა მამების აზრით, ლოცვა არსებობს სამი სახის: პირველი, როდესაც ლოცულობს ადამიანი მხოლოდ ენით; მეორე, როდესაც ლოცულობს გონებით და, მესამე, როდესაც ლოცულობს ადამიანის გული. მესამე სახის ლოცვა არის ყველაზე ძვირფასი. მხოლოდ ამ ლოცვას

ისმენს უფალი და გარდამოგვივლენს ჩვენ თვისთა დიდთა წყალობათა. მაშასადამე, პირობა, რომ ჩვენი ლოცვა იქნება ღვთისაგან შეწყნარებული, არის ის, რომ იგი უნდა იყოს გულიდან ამოსული, წრფელი, წმიდა.

მეორე აუცილებელი და სერიოზული საკითხი, რომელიც დგას სასულიერო პირთა წინაშე, ეს არის წირვა-ლოცვის თავისი წესით შესრულება. ე.ი. ტიპიკონი. რა არის მთავარი ტიპიკონში? – მოძღვარი, დიაკონი და მედავითნე უნდა იყვნენ ზუცურის კარგი მკითხველნი და კარგად ერკვეოდნენ საღვდელმსახურო წიგნებში. ვერც ერთი სასულიერო პირი, რაც უნდა განათლებული იყოს იგი, ვერ შეისწავლის ზეპირად მთელი წლის ტიპიკონს. მაშ, როგორ უნდა მივალწიოთ ტიპიკონის სიზუსტეს? – ამისათვის საჭიროა წიგნების კარგი ცოდნა. უნდა ვიცოდეთ, სად რა წერია.

მოძღვარი დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს ტიპიკონის ზუსტ შესრულებას. სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომელნიც თვისი ნება-სურვილით ამოკლებენ წირვა-ლოცვის წესს. ასეთ სასულიერო პირებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი პასუხს მისცე-



მენ ღმერთს იმ თავის მოქმედებაზე. მოძღვარს ნამდვილად შეატყობს ადამიანი თავის მოქმედებაზე, უკეთუ მის ტაძარში სრულდება ტიპიკონის მიხედვით წირვა-ლოცვა და არა შემოკლებულად და თვითნებურად.

საეკლესიო ტიპიკონი არის წმიდა მამებისაგან შედგენილი, იგი სრულდება მრავალი საუკუნის მანძილზე და ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, შევცვალოთ იგი. მოძღვარს, რომელიც პირველად იწყებს საეკლესიო სამსახურს, რა თქმა უნდა, უჭირს ტიპიკონის ზუსტი ცოდნა მისი სირთულისა გამო. მაგრამ პრაქტიკა მისცემს მას საშუალებას, შეისწავლოს და გაიგოს ტიპიკონის სირთულენი, უკეთუ მოძღვარს ექნება ამისი სურვილი. სასულიერო პირთა დასახმარებლად შევადგინე ეს ტიპიკონი და ვფიქრობ, იგი გაუადვილებს ახალგაზრდა მოძღვრებს პირველ სამსახურს.

ახალგაზრდა მოძღვარი, უკეთუ იქნება მქონე მტკიცე სარწმუნოებისა, იგი აუცილებლივ იქნება მოსიყვარულე წესიერი წირვა-ლოცვის.

ჩემს მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში, რა თქმა უნდა, მრავალი ნაკლია და უნებლიე შეცდომა და ამიტომ მკითხველმა მომიტევოს იგი. უკეთუ ეს მცირე ტიპიკონი ცოტათი მაინც დაგეხმარებათ წირვა-



უწმიდესი სასულიერო პირებთან და სემინარიის სტუდენტებთან ერთად სამთავროში

ლოცვაში და გაგვიადვილებთ საეკლესიო სამსახურს, მე ვფიქრობ, რომ მივალწიე მიზანს. უმაღლესი ჯილდო თქვენგან იქნება ის, უკეთუ არ დაივიწყებთ ჩემს სახელს თქვენს წმიდა ლოცვათა შორის.

მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი – ილია, მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთისა (ღუდუშაური-შიოლაშვილი)  
26/III-1972 წ. მცხეთა.

სამთავროს არქივიდან

## უფლის საჩუქარი - პატრიარქის „ალილია“

„მუსიკა ზეციური წარმოშობისაა, ღვთაებრივია, ღვთის ქმნილებაა და მისი სამშობლო არის ზეცა“, – ბრძანებს პატრიარქი. ალბათ ამიტომ, რომ მუსიკას უწმიდესის შემოქმედებაში ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად (ფერწერა, ქანდაკება) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამასთან, იგი ავტორია სულიერებით, ღოცვითა და ნათლით აღბეჭდილი არაერთი გულშიჩამწვდომი და საოცრად ამაღლებული საგალობლისა, რომელმაც დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. მისი უწმიდესობის მუსიკა ღვთისა და სამშობლოს სიყვარულის, სულიერისა და მატერიალურის, იდეალურისა და რეალურის თავისებურ სინთეზს წარმოადგენს. ამავე დროს ეს მუსიკა ღრმა რელიგიური მსოფლმხედველობითა და საეკლესიო ხელოვნების ესთეტიკისადმი ერთგულებით გამოირჩევა.

პატრიარქი აგრეთვე უდიდეს პატივს მიაგებს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანებს – უკვე შემდგარ მეცნიერებსა და შემსრულებლებსა თუ დამწყებ მუსიკოსებს. მისი უწმიდესობა განსაკუთრებული ტალანტით გამორჩეულ ახალგაზრდებსაც მფარველობს და ყოველმხრივ ეხმარება პროფესიული განათლების მიღებაში. საპატრიარქო რეზიდენციას ხშირად სტუმრობენ ქართველი და უცხოელი მუსიკოსები და უწმიდესის პატივსაცემად საღონურ კონცერტებსაც მართავენ, თვითონ პატრიარქი კი ყოველდღე უსმენს კლასიკურ მუსიკას, რადგან იგი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ყველა, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მის უწმიდესობას, თავს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევს. პატრიარქთან ერთად ერთოთახში ყოფნაც კი გონების განმწმენდი და განმანათლებელია. ზოგს მხოლოდ უწ-

მიდესის ღრმა, კეთილი თვალებისა და სათნო, მშვიდობიანი ღიმილის შეხედვაც ჰყოფნის და მადლობს ღმერთს, მე კი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომელსაც არა მხოლოდ პატრიარქის ეპოქაში მოუწია ცხოვრება, არამედ ბედმა გაუღიმა და ღვთის წყალობით მის უწმიდესობასთან მიახლოების შესაძლებლობაც მიეცა. უფლის საჩუქარი იყო, რომ პატრიარქის მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის პროცესის თვითმხილველიც გაგმხდარიყავი და მისი უწმიდესობის მამობრივი მზრუნველობა, განსაცვიფრებელი ინტელექტი და ღვთიური სიბრძნე პირადად განმეცადა. ამ შეხვედრამ, აგრეთვე, ჩემი მომავალი ცხოვრებამოღვაწეობის ერთგვარი მიმართულებაც დასახა, რამაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა პატრიარქის წინასწარხედვისა და ზემოქმედების მჭკრეტელობის უნარი.

2012 წლის ნოემბერში, პატივი მერგო, მისი უწმიდესობის მიწვევით, ჩემს წინამძღვართან, იღუმენია ქეთევანთან (კოპალიანი) ერთად ჩეხეთის ქალაქ კარლოვი-ვარში ვყოფილიყავი. პატრიარქის გვერდით გატარებული თითოეული დღე დაუვიწყარია და არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან, მით უფრო, რომ სწორედ აქ გადაწყდა, უკვე სასულიერო ხარისხში მყოფი, კონსერვატორიის სტუდენტი გაგმხდარიყავი, რისთვისაც ვმადლობ ღმერთსა და მის უწმიდესობას.

პატრიარქი, თავისი დატვირთული რეჟიმის გამო, ხშირად საზღვარგარეთ ვიზიტის დროს თუ გამონახავს ხოლმე დროს მუსიკის დასაწერად. სწორედ კარლოვი-ვარში სტუმრობისას შეიქმნა უწმიდესის ორი ყველასათვის კარგად ცნობილი „ალილია“, რომელთაგან ერთ-ერთი პატრიარქმა შვილგარდაცვლილ დედებს მიუძღვნა. დედა იღუმენიას და მე ასევე წილად გვხვდა ბედნიერება, ორივე საგალობლის პირველი



**უწმიდესი და უნეტარესი ილია II,  
იღუმენია ქეთევანი და მონოზონი ნინო  
ჩხეიძე. კარგოვი-ვარი 2012 წელი**

შემსრულებლებიც ვყოფილიყავით.

საგალობელთა შეთხზვიდან ორი დღის შემდეგ, ბაღში სეირნობისას, პატრიარქმა თავისი ახლადშექმნილი „ალილუიას“ გა-



ლობა მოისურვა. აღმოჩნდა, რომ იქ მყოფთ საგალობელი დავიწყებოდათ და როდესაც მკითხეს, ხომ არ მახსოვდა, ვუპასუხე, რომ შესრულებას შევძლებდი. ტონი დავსვი და საგალობელი მყისვე ავაჟღერეთ. შუა ხმას პატრიარქი გალობდა, ბანს – დედა იღუმენია, პირველს კი მე. როდესაც საგალობელი უშეცდომოდ დავასრულეთ, უწმიდესმა გაკვირვებით შემომხედა და მკითხა, თუ რა მუსიკალური განათლება მქონდა მიღებული. ვუპასუხე, რომ მუსიკალურ შეიღწევაში ვსწავლობდი, ფორტეპიანოს სპეციალობით. ცოტა ხნის შემდეგ პატრიარქმა დამაჯერებელი ტონით მაკურთხა, სწავლა კონსერვატორიაში გამეგრძელებინა, თანაც ბოლოს დააყოლა, – აუცილებლადო. მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტიც თვითონვე შემირჩია, რადგან ალბათ იცოდა, რომ მხოლოდ აქ არსებობდა სასულიერო პირისთვის ყველაზე შესაფერისი დარგი – საეკლესიო მუსიკის მიმართულება. პატრიარქის სიტყვებმა მოულოდნელად დედის ანდერძი მომაგ-

ონა, რომელიც ამ დრომდე დამევიწყებოდა. – მასაც სწორედ იგივე სურვილი ჰქონდა, რაც პატრიარქს, მაგრამ მისი გარდაცვალებისწინა თხოვნა რატომღაც გონებიდან ამომშლდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უწმიდესსა და დედაჩემს შორის სულიერი კავშირი დამყარდა და მე მათი ერთობლივი კურთხევის შემსრულებელი ვიყავი.

ღვთის განგებით, პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ჩემი წინამძღვრის სულიერი თანადგომით, 2013 წელს, მიუხედავად მცირე დროისა, რომელიც გამოცდებამდე დარჩენილიყო, წარმატებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე საეკლესიო მუსიკის მიმა-

რთულებით. მიხდა აღვნიშნო, რომ ამ სამი წლის განმავლობაში მიღებული პროფესიული გამოცდილება მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევის მადლის დამსახურებაა. პატრიარქის ლოცვა მუდამ მიცავს და მაძლიერებს ჩემი უპირველესი მოვალეობის, მონოზვნობის წმინდა ტვირთისა და აკადემიური განათლების ერთმანეთთან შეთავსებისას. ვფიქრობ, ყველაზე მთავარი ალბათ ის არის, რომ კონსერვატორიაში მიღებული განათლება კვლავ ჩვენს დედა ეკლესიას მოხმარდება. ამდენად, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ, როგორც სასულიერო პირი და ვმადლობ ღმერთსა და მის უწმიდესობას ყველაფრისთვის.

ალბათ, ღვთის განგება და წმიდა ნინოს შემწეობა იყო ისიც, რომ ჩემს საბაკალავრო სადიპლომო ნაშრომად სამთავროს მონასტრის სულიერი მოძღვრის, წმიდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) სავანის არქივში დაცული ნოტირებული კრებულის კვლევა ავირჩიე. სწორედ ამ საკითხზე განვაგრძობ

ჩემს შემოქმედებით მუშაობას. მე მჯერა, რომ სწორედ წმიდა ექვთიმეს სულმა შთააგონა ჩვენს უწმიდესს, რომ ამ გზაზე დავეყენებინე. სამადლობლად ყოველივე ამისა, მინდა მისი ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა გავაცნო ქართველ ერს. ქართული მუსიკისმცოდნეობის ერთ-ერთი მისიაც ალბათ ესაა, რომ კიდევ უფრო სრულყოფილად დაანახოს ადამიანებს, თუ რა მუსიკალური და მხატვრული ღირებულებები გააჩნია წმიდა მამის საქმიანობას; თუ როგორ სდებდა იგი თავის გულის მღუღარებას, თავის ლოცვის სიმშვიდეს, ღვთაებრივ სიყვარულსა და სიხარულს ბრწყინვალე საგალობლებში და უძღვნიდა მას მხოლოდ უფალს.

აქვე დავძენ, რომ ჩემს პროფესიულ ზრდაში დიდი დამსახურება მიუძღვის კონსერვატორიის ყველა პედაგოგს და მათ შორის განსაკუთრებით ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელს, საეკლესიო მუსიკის მიმართულების უფროსს, ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ თამარ ჩხეიძეს, რომელიც ღირსეული გამგრძელებელია პროფესორ მანანა ანდრიადის დაწყებული საქმისა. ვმადლობ ღმერთს, რომ, კონსერვატორიასა და

წმიდა გიორგი მთაწმინდელის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, შესაძლებლობა მომეცა, სასწავლებელში ჩემი სპეციალობის მომიჯნავე დარგები ამერჩია და ცოდნის თვალსაწიერი რამდენადმე გამეფართოვებინა.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენი ლოცვა-კურთხევის შესრულებამ მართლაც დიდი სიხარული მომანიჭა და დღემდე მისგან მიღებული მადლი მანათობელი სხივივით ბრწყინავს ჩემს გულში. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, რომ შესაძლებლობა მომეცით, პროფესიული კუთხით გავცნობოდი ძველი ქართული ტრადიციული საეკლესიო მუსიკის სფეროს, რომლის დაცვასაც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა მთელი თავისი ძალ-ღონე და სიცოცხლეც კი შესწირეს. ვსარგებლობ რა შემთხვევით, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სიმხნევეს! თქვენი ლოცვის მადლი არ მოჰკლებოდეს ქართველ ერს და სრულიად საქართველოს. იხარეთ და იღლეგრძელეთ მრავალჟამიერ! ამინ!

ა ღ ი ლ უ ი ა

Lamento

1

ა - ლი - ლუ - ი - ა    ა - ლი - ლუ - ი - ა    ა - ლი - ლუ - ი - ა

ა - ლი - ლუ - ი - ა    ა - ლი - ლუ - ი - ა    ა - ლი - ლუ - ი - ა

ა - ლი - ლუ - ი - ა    ა - ლი - ლუ - ი - ა    ა - ლი - ლუ - ი - ა

აღილუია

Moderato

ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი -

ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი -

ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი -

6

ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა

ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა

ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა

11

ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა

ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა

ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა      ა - ღი-ღუ - ი - ა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ კარლოვი-ვარში შეთხზული ორი საგალობელი – „აღილუია“ პირველად ქვეყნდება ბეჭდური სახით, სრულდება სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში. საგალობლები ნოტებზე გადაიტანა მონოზონმა ნინომ (სამხარაძე).

### 39 წლის წინ მცხეთაში

თითქოს გუშინ იყო 1977 წლის 25 დეკემბერი, უჩვეულო ხალხმრავლობა მცხეთაში, სვეტიცხოვლის შესასვლელთან. ზამთრის ნისლიანი ცივი დღის მიუხედავად რაღაც ახლის მომლოდინე ადამიანები ტაძრისკენ მიიჩქაროდნენ, მაგრამ მაშინდელი მილიცია წესრიგის დაცვის საბაბით ცდილობდა მხოლოდ ამ დღისათვის სა-



განგებოდ გაცემული საშვის მფლობელები გაეტარებინა, დანარჩენებს კი ტაძარში არ უშვებდა. წამიერად უიმედობამ შემიპყრო, ფიქრებში ჩავიძირე; ამ დროს ერთი ქალბატონი მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და საში გამომიწოდა: „იქ თქვენ უნდა იყოთ, ახალგაზრდები“... მაღლობის თქმაც ვერ მოვასწარი, საში მილიციელს გაგუწოდე, მაგრამ ვთხოვე, არ დაეხია... (30 წლის შემდეგ ეს საში უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს მივართვი. ს.ვ.). ტაძარში მრავლად იყვნენ ახალგაზრდები, ჩამოჰკრეს სვეტიცხოვლის ზარებს, ტაძარში შემობრძანდა ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი პიმენი, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I, სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები, დაიწყო საზეიმო წირვა. რამდენიმე წუთის

შემდეგ ტაძარში ჩოჩქოლი ატყდა, გარეთ მყოფმა ხალხმა გაარღვია მილიციის კორდონი და ტაძარში შემოვიდა. ასეთი ხალხმრავლობა სვეტიცხოველში 1917 წლის 12(25) მარტის შემდეგ აღარ ყოფილა. ტაძარში მყოფნი ვხვდებოდით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში იწყებოდა ახალი ერა და ჩვენ მისი თანამონაწილენი ვიყავით, დრო სწრაფად გარბოდა, ჩვენ გვინდოდა ეს უჩვეულო დღე უსასრულოდ გაგრძელებულიყო... დასრულდა საზეიმო წირვა, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ამბიონზე გამობრძანდა, დალოცა იქ მყოფნი და დაიწყო თავისი მამამთავრული სიტყვა: „ მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა“...

39 წელი გასრულდა ამ ისტორიული დღიდან. ბევრი რამ გააკეთდა ამ 39 წლის მანძილზე: ეკლესიას დაუბრუნდა გზააბნეული მრევლი, აღორძინდა ეპარქიები, გამრავლდა სასულიერო დასი, დაფუძნდა სასულიერო სასწავლებლები, აკადემიები, უნივერსიტეტები.

თუ 1918 წელს უწმიდესი და უნეტარესი კირიონი ნატრობდა ახალგაზრდებს თბილისის უნივერსიტეტში უმაღლესი საღვთისმეტყველო ფაკულტეტის დაფუძნებას, დღეს თქვენი ღვაწლით დაფუძნდა ოთხი საერო უნივერსიტეტი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი სტუდენტობისა და პროფესორ-მასწავლებლების სახელით გილოცავთ დაბადების 84-ე და აღსაყდრების 39-ე წლისთავს.

მრავალსა წელსა თქვენი სიცოცხლე!

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

## პატრიარქმა „ბავშვების დალოცვის“ ტრადიცია აღადგინა

ცნობილია, რომ პატრიარქს განსაკუთრებით უყვარს პატარები. უწმინდესმა აღადგინა „ბავშვების დალოცვის“ ტრადიცია, რომელიც წლების განმავლობაში ტარდებოდა სიონის ტაძარში: „მინდა აღდგეს ბავშვების დალოცვის წესი, ეს განსაკუთრებით სჭირდება საქართველოს; ყოველ ორშაბათს შესრულდება პარაკლისი და დალოცვილი იქნებიან ბავშვები“. – მიმართა უწმინდესმა მრევლს სამების საკათედრო ტაძარში ჩატარებული საკვირაო ქადაგების დროს. – „გახსოვდეთ, რომელ დღესაც ვერ შეძლებთ სიკეთის ქმნას, ის დღე დაკარგულია. გიყვარდეთ დედა და მამა

და დაიმსახურეთ მათი ლოცვა-კურთხევა, რადგან მშობელთა ლოცვა ღვთის დალოცვაა. გიყვარდეთ სამშობლო, ჩვენი მრავალჭირნახული საქართველო, რადგან „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.

„კარგად შეისწავლეთ ქართული ენა და საქართველოს ისტორია; მათში დიდი საიდუმლო და სულიერი ძალაა... გიყვარდეთ ღმერთი, გიყვარდეთ ადამიანი, გიყვარდეთ წიგნი, რადგან სიყვარული სათავეა სიხარულისა და ადამიანის ბედნიერებისა“, – ამას ასწავლის ბავშვებს პატრიარქი თავისი დალოცვით.

### მშობლების მიერ შვილების დალოცვა

„ღმერთო ჩვენო, მამაო ყოვლისამპყრობელო, ძეო ღვთისაო უფალო ჩვენო იესო ქრისტე, სულო წმიდაო ცხოველმყოფელო, სამებაო ერთარსო და განუყოფელო, გარდამოიხილე ზეცით მოწყალე თვალით და დალოცე შვილები ესე საქართველოსანი. მონანი და მხევალნი ღვთისანი და მიმადლე მათ მრავალჟამიერი სიცოცხლე, მტკიცე მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, თავმდაბლობა, განცდაი თვისთა ცოდვათა, სიბრძნე, სიმშვიდე და მოთმინება, ნიჭი და უნარი სწავლისა და შრომისა, ბედნიერი ოჯახი, მრავალი შვილი, კეთილდღეობა და სიხარული, გონება საღი და გახსნილი, გული წმინდა, სიყვარული მშობელთა თვისთა. ჰოი, უფალო, შეისმინე ჩემი ლოცვა და დაიფარე შვილნი ესე ჩვენნი სულიერი, ხილული და უხილავი მტრებისაგან და ღირსჰყავ ისინი ცათა სასუფეველისა. ლოცვითა და მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა შენტა. ამინ!“



## უწმიდესი უკვე 30238 ბავშვის ნათლიაა

„უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესღვად სასუფეველსა ღმრთისასა“, – ბრძანებს მაცხოვარი და მიგვანიშნებს, რომ ნათლისღება, რომლის ძალითაც ადამიანი ცოდვებისგან განიწმინდება და იშვება ახალი, სულიერი ცხოვრებისთვის, აუცილებელი პირობაა მარადიული ნეტარი ცხოვრების მოსაპოვებლად. ამავე დროს, ნათლისღებისას ადამიანი სულიწმინდის მადლით იმოსება, იღებს ღვთაებრივ ნათელს და ქრისტეს ეკლესიის წევრი, მისი სხეულის ნაწილი ხდება. ვიდრე ჯერი ნათლობის საიდუმლოს აღსრულებაზე მიდგება, ადამიანი ირჩევს ნათლიას, მიმრქმელს, რომელიც მისი სულიერი მშობელი ხდება; ამიტომ, ცხადია, ნათლულის მიმართ გარკვეული პასუხისმგებლობაც ეკისრება.

ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით 2008 წელს, ნათლისღების დღესასწაულზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ტრადიციას, რომლის თანახმად, მშობლების სურვილის შემთხვევაში, იგი

ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო შვილის ნათლიაა



ხდება. სამების საპატრიარქო ტაძარში წელიწადში ხუთი ან ექვსი ნათლობა აღესრულება. ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა სულ 46 ნათლობა, უწმინდესი უკვე 30238 ბავშვის ნათლიაა.



### საუკუნის პროექტი - საყოველთაო ჯვრისწერა

უწმინდესის ლოცვა-კურთხევით საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ახალ წამოწყებას, საუკუნის პროექტს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საპატრიარქოსთან არსებული „საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. გადაწყდა, გაიმართოს საყოველთაო ჯვრისწერა.

საყოველთაო ჯვრისწერის სურვილი ბევრმა ადამიანმა გამოთქვა. ჯვრისწერის შემდეგ პატრიარქი დალოცავს წყვილებს და სამახსოვრო საჩუქარს, ოჯახის სიძლიერის ხატს გადასცემს.

# „ჩემი პატრიარქობის პერიოდში ყველაზე დიდ საქმედ შვიდგზის ლოცვის აღდგენა მიმაჩნია“...

„ჩემი პატრიარქობის პერიოდში ყველაზე დიდ საქმედ შვიდგზის ლოცვის აღდგენა მიმაჩნია: მთელმა ერმა ყოველდღიურად უნდა წაიკითხოს ეს ლოცვები და ამასთან, ლოცვის შემდეგ დღეში 7-ჯერ თქვას: უფალო, დიდება შენდა, ღმერთო, გადაარჩინე და გაამთლიანე საქართველო?“ – ბრძანებს უწმინდესი.

ყველას გვესმის, თუ როგორ სჭირდება დღეს საქართველოს ღვთის დახმარება, მფარველობა და ლოცვა-კურთხევა; საჭიროა ყოველი ქართველის ერთობლივი ლოცვა-ვედრება, რომ ღმერთმა შეისმინოს და მოგვმადლოს ჩვენ და ჩვენს ერს თავისი წყალობა და კურთხევა, რადგან განსაკუთრებული ძალა აქვს ერთიან ლოცვას.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით და პპოვოთ; ირეკდით და განგედოს თქვენ, რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მიიღოს და რომელი ირეკდეს, განგედოს“ (მათე 7, 7-8).

მაგრამ, დგას კითხვა: როგორ ვილოცოთ?

უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უნდა ილოცოს მთელი გულით და, თუ შეუძლია, ცრემლითაც კი; მხოლოდ მაშინ ისმენს უფალი ჩვენს თხოვნას.

ფსალმუნში ვკითხულობთ: „შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ“ (ფსალ. 118, 164). ე.ი. დღეში შვიდჯერ ლოცულობდა ადამიანი. ბიბლიიდან ვიცით, რომ რიცხვ შვიდს აქვს დიდი სულიერი და ღვთიური ძალა, ამიტომაც ჩვენი წინაპრები დღე-ღამის განმავლობაში შვიდჯერ ლოცულობდნენ ღვთის

წინაშე, უფალიც ისმენდა მათ ლოცვას და ეწეოდა მათ. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ მამა-პაპათა ამ წესს და დღე-ღამის განმავლობაში ქვემოთ მითითებულ საათებში დღეში შვიდჯერ უნდა აღვაგლინოთ ვედრება უფლისადმი, რომ ღმერთმა მოგვანიჭოს ჩვენ და ჩვენს ერს წყალობა, მშვიდობა, ბარაქა, სიყვარული, სიხარული, სიბრძნე, ჯანმრთელობა, ოჯახის სიმტკიცე, მრავალშვილიანობა, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოების მადლი; მოგვცეს გრძნობა სინანულისა, თავმდაბლობისა, ცოდვათა მიტევებისა და მოწყალებისა, რაც ყოველად აუცილებელია მორწმუნე ქრისტიანისათვის.

ლოცვა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებული ძალა აქვს ლოცვებს დილის 6 საათზე, დილის 9 საათზე, შუადღის 12 საათზე, დღის 3 საათზე, საღამოს 6 საათზე, საღამოს 9 საათზე, შუადღამის 12 საათზე. ეს ლოცვები შეკრავს და გააერთიანებს ჩვენს ერს.

ეს ლოცვა-სავედრებელი აუცილებლად უნდა წაიკითხოს ყოველმა ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა იმ ლოცვების გარდა, რომელსაც ის ყოველდღიურად ასრულებს, რათა არ დარჩეს ერთობლივი ლოცვისა და ღვთის წყალობის გარეშე. როცა მოაწევს საათი ლოცვისა, სახლში ხარ თუ გზაში, შეჩერდი და დაიწყე ლოცვა და ღმერთი მარად იქნება შენი მფარველი. ამინ.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



## უწმიდესი და წმიდა მამა გაბრიელი

სამთავროს დედათა მონასტერში, კათოლიკოს-პატრიარქის ერთ-ერთი სტუმრობის დროს, ბერი გაბრიელი კოშკიდან გამოვიდა, „სამეფო“ რვალის დიაღმით.

ურთიერთამბორყოფისა და მოკითხვის შემდეგ პატრიარქმა ჰკითხა: „მამა გაბრიელ, ეგ დიაღემა ოქროსია?“

– რას ბრძანებთ, თქვენო უწმიდესობავ, ეგ რომ ოქროსი იყოს, ხომ თავს მამაჭრიდნენ! – უპასუხა ბერმა.

ორივე სიყვარულით შესცქეროდა ერთმანეთს. უწმიდესისა და ბერი გაბრიელის ამ სიტყვებში გამოსჭვიოდა იღუმდალება, რაიც ოდენ ღმერთმა უწყის.



უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ღირსი მამა გაბრიელი, იღუმენია ზოილე; უკანა რიგში დგანან: იღუმენია ანა, სქემ-მონოზონი სუსანა, მონოზონი ნაღუდა, მონოზონი რებეკა.



ერთხელ, საუბრისას, პატრიარქმა ჩვენს წმიდა მამა გაბრიელს საოცარი სიტყვები უთხრა:

– ხედავ, გაბრიელ, ჩვენ შორის ღმერთს მეტად ვინ უყვარს? შენ სიგლახაკე გიბოძა, მე კი – წოდება?!

– იცოდეთ, ვინც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს განიკითხავს, თავზე აგიზგიზებულ ნაკვერჩხლებს დაიყრისო, – ამბობდა მამა გაბრიელი.

## „ბაიხარე და გამახარე!“

ბუნების სიყვარული უწმინდესის ბაღში მუდმივად იგრძნობა. ირგვლივ ყველაფერი ულამაზეს წაღკოტად არის ქცეული... „მე მიყვარს ბუნება, მიყვარს იმიტომ, რომ მასში სიცოცხლეა. როცა ვრგავთ, მე ვეუბნები, „გაიხარე და გამახარე! და მარ-



თლაც ამას ასრულებენ“, – ამბობს უწმინდესი. შემოდგომით, როცა მცენარეებმა უნდა დაიძინონ, ასე ლოცავს: „მშვიდობით დაიძინე და გაზაფხულზე მშვიდობით გაიღვიძე!“... „დიდი სიხარულიცა და დიდი მწუხარებაც ადამიანს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს: ამ გრძნობის გამოსატვის ერთ-ერთ სიმბოლოდ უნდა იქცეს ხეების დარგვა. ვფიქრობთ, ცალკე უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც ყველაზე ბედნიერი ადამიანები, – ახალდაქორწინებული წყვილები და ახალდაბადებული ბავშვების მშობლები, – დარგავენ ნერგებს მათთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი და გამორჩეული დღის აღსანიშნავად“. – ამასაც ჩვენი პატრიარქი გვეუბნება. თავად მან ამ ოცი წლის წინ საკუთარი ხელით დარგო კვიპაროსები საპატრიარქოს ბაღსა და

ორანჟერეაში. დღეს ამ ბაღსა და ორანჟერეას ბევრი სტუმრობს და იქიდან სულ სხვა ადამიანი გამოდის.

საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მოადგილე დედა თეკლე: „მოვლაზე მეტად უწმინდესის ლოცვა-კურთხევა ზრდის მცენარეებს, უწმინდესი ყოველდღე დადის ბაღში, ყველას ცოცხალივით ესაუბრება. ერთხელ დაავადებული მცენარე მოსაჭრელი გაგვიხდა, უწმინდესმა თქვა: „მივედი, მადლობა გადავუხადე, რომ ამდენხანს გვემსახურა და მოუუბოდიშე, უნდა მოგჭრათ-მეთქი“. ეს ბაღი სავსეა ეგზოტიკითა და სილამაზით. ვინც იცის, რომ უწმინდესს მცენარეები უყვარს, ჩუქნის, მერე აქ რგავენ და ძალიან მალე ეგუებიან ამ მიწას, ლაღდებიან. ერთმანეთთან ძალიან ახლოს



და ჰარმონიულად ცხოვრობენ სხვადასხვა ჯიშის ყვავილები და ხეები, ყველას თავისი წილი მზე ჰყოფნის. მცენარეები გადმოგვცემენ საოცარ ენერგიას, გვანიჭებენ სილამაზის აღქმის უნარს. დარგვის შემდეგ დგახარ და ელოდები, როდის გაიზრდება, როდის აყვავდება, მოძლიერდება... ელოდები ისე, როგორც ცოცხალი არსების ნამოქმედარს, რადგან ის მართლაც ცოცხალია“.

## ვერიკო ანჯაფარიძის სტუმრობა პატრიარქთან

„იმ განსაკუთრებით სასურველ სტუმართა შორის, რომელთაც მისი უწმინდესობა მუდამ სიხარულით მოელოდა, ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძეც იყო. განსაკუთრებით ხშირად თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში შემოდის იგი სიონში და გაუნძრევლად იდგა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. მაშინვე სკამს დაუდგამდნენ ხოლმე, ასეთი იყო მისი უწმინდესობის ნება. მეგობრობდა მასთან, უყვარდა. ჩემი უკანასკნელი საღვთო თქვენთან არისო; ამჟღავნებდა გარდაცვლილ შვილზე საუბარი. მწყურვალ-ივით ვეწაფები თქვენს სიტყვებსო, ეუბნებოდა.

მათი პირველი შეხვედრა შედგა 1981 წელს, საპატრიარქოს რეზიდენციაში:

**ვერიკო ანჯაფარიძე:** მე ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თქვენზე ლეგენდები დადის, მეორეც, ამ ბოლო დროს, რაც ხანი გადის, ეკლესია მეძახის.

**უწმიდესი:** იმედი დიდი ძალაა. ღამით სასაფლაოზე ბავშვი შეხვდა კაცს. ბავშვი შიშით კანკალებდა. შენ არ გეშინიაო? – ჰკითხა. -არა. – აბა, გაიხედე, იმ შუქს ხედავ? აი, იმას ვუყურებ, მივსდევ, იქ სოფელია. სოფელში კი იმედიანო.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** დიახ, იმედი რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა. იცით, მე მომიკვდა შვილი. ძალიან მიჭირს. მოულოდნელად ენერგია მომემატა, დიდი წყურვილი მქონდა, რაღაც ხმამაღლა მეთქვა და მივუძღვენი შვილს იბსენის “მოჩვენებანი”. მითხარით, არის თუ არა სხვა სამყარო.

**უწმიდესი:** რასაკვირველია, არის.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** იცით, მე მატერიალისტი ვარ და ამიტომ ისეთ კითხვებს გისვამთ, არ გაგიკვირდეთ. რწმენამდე როგორ მიდის ადამიანი?

**უწმიდესი:** ორი გზა არსებობს, უბრალო, სტიქიური და ცოდნით. სამწუხაროდ, მოკლე

ბული ხართ დიდ ლიტერატურას, რომელიც არსებობს ამის შესახებ. რომ გაეცნოთ მას, მაშინ ეჭვი აღარ გექნებათ. არსებობს გარდაცვალება და არა მოსპობა.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** ის ავტორები, ალბათ, ფანატიკოსები არიან?

**უწმიდესი:** არა. მოგახსენებთ ნამდვილ მეცნიერებზე. მაგალითად, ასტრონომებზე. ისინი დიდ დაკვირვებებს ახდენენ. ძალზე საინტერესოა, მაგალითად, თუნდაც, უკანასკნელ ხანს, კლინიკურ სიკვდილზე დაკვირვებები, ნამდვილად ძალიან საინტერესოა. ყოველივე ეს ძალიან გვაახლოებს იმ ქვეყანას თქვენ რომ ბრძანეთ, მატერიალისტი ვარო. ყველა ვართ მატერიალისტები, ოღონდ ესაა, ურწმუნო არ უნდა ვიყოთ. მატერია მაინც მკვდარია. მას განაგებს სხვა ძალა და ეს არის ღმერთი.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** რა არის ღმერთი?

**უწმიდესი:** ძალა, უზენაესი ძალა. შესანიშნავად ამბობს იოანე ღვთისმეტყველი: ღმერთი არის სიყვარული. მატერიას არ უნდა მივანიჭოთ ისეთი ძალა და უფლება, რაც ღმერთს ეკუთვნის. მატერია თავისთავად უაზროა. ის კანონებს ვერ შექმნიდა.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** თქვენ რასაც ამბობთ, ამის ჭკუით აღქმა კი არა, განცლითაც ძნელია მე მგონია, ამისათვის საჭიროა ის გარემოცვა, რაც თქვენ გაქვთ. მე ვიცი, რა არის მარტოობა. საშინელ ორომტრიალში ვცხოვრობ. ბევრ ხალხთან მიხდება ურთიერთობა, მაგრამ მაინც შემოიძლია მარტო ვიყო.

**უწმიდესი:** პირობებს თვითონ ადამიანი ქმნის. მთავარი ფაქტორი მაინც ადამიანია. არავის არ ექნება ისეთი ცუდი პირობები, როგორც მე მაქვს. ხალხი ბევრი, საწუხაროც ბევრი, ცხადია, კარგიც ბევრი, მაგრამ ჩვენ მაინც ვპოულობთ დროს ლოცვისთვის.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** ლოცვა გაძლევთ

სიმშვიდეს?

**უწმიდესი:** დიახ. მაძღვეს. მე გასწავლით ერთ ლოცვას.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** მასწავლეთ

**უწმიდესი:** „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალებ ჩვენ, ცოდვილნი“. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები, რომელთაც არ ჰქონდათ პირობები დასვენებული ცხოვრებისათვის, ამ ლოცვით ცხონდნენ.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალებ ჩვენ, ცოდვილნი“. რა კარგია. ყოველდღე წავიკითხავ უსათუოდ!

**უწმიდესი:** შესანიშნავია. ამ ლოცვას აქვს 2000 წლის ისტორია. ამას განსაკუთრებით ხშირად იმეორებდნენ უდაბნოში ბერები. ძალიან ძლიერია. თქვენ იგრძნობთ სიმშვიდეს. ხატი გაქვთ?

**ვერიკო ანჯაფარიძე:** დიახ. მაქვს ხატი.

**უწმიდესი:** ასევე კანდელიცაა საჭირო, უნდა დაანთოთ და ილოცოთ. ყველგან შეიძლება ილოცოთ. ადამიანი მუდამ ღმერთთანაა ამ ლოცვით. თქვენ სწორი ბრძანეთ, ჩვენ ძალიან მატერიალისტები ვართ. ადამიანი შედგება ორი სუბსტანციისაგან. ორივეს სჭირდება საზრდო. ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობთ ჩვენს ცხოვრებაზე, სულზე ცოტას – წუთებს, იმ დროს, როცა სული მთავარია.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** მაგრამ მატერია ხომ საყრდენია?

**უწმიდესი:** დიახ. მაგრამ ჩვენ უნდა ვი-

ცოდეთ, რომ მიწიერი ცხოვრება ეტაპია. მთავარი იქაა, ჩვენი სამშობლო იქაა. დიდი საქართველო იქაა.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** თქვენ ეს გვამთ?

**უწმიდესი:** მწამს მე, იცით, ეს როდის ვიგრძენი? როცა ლოცვის დროს მოვიხსენიე ჩვენი მეფეები და პატრიარქები, ვიგრძენი კავშირი იმათთან, მათი დახმარება. ეს კავშირი საჭიროა ყველასთვის, თქვენთვისაც. თქვენი შვილი მკვდარი არაა.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** მე მას ხშირად ვხედავ სიზმარში და მოვდივარ სიონში. მე მასთან კავშირი არ გამიწყვეტია. იცით, რა, ბატონო ილია, ცხოვრება სასტიკია.

**უწმიდესი:** ცხოვრება იმონებს ადამიანს. ყველას კი არ შეუძლია ცდუნებისგან თავის დახსნა. მიეცემა დროის მდინარეებს. ზოგი ფიქრობს, აქ ვიყო კარგად და იქ რაც იქნება, იყოსო. მართალია, მიწიერი ვართ, მაგრამ იმის უნარი უნდა გვქონდეს, რომ ცოცხალი ავმადლდეთ.

**ვერიკო ანჯაფარიძე:**

მართალს ბრძანებთ. უწინ იყო ასეთი ხალხი. ახლა ყველაფერი უფრო და უფრო ვიწროვდება. ლოკალური ხდება. პირობებიც ხომ საჭიროა

**უწმიდესი:** დიახ. მაგრამ მთავარი მოქმედი პირი მაინც ადამიანია. სიკეთესა და ბოროტებაში ადამიანი მუდამ მონაწილეობს. აი, მე გახლდით ახლახან საფრანგეთში. მქონდა საუბარი იქაურ ქართველებთან. ყველა მორწმუნეა. ერთმა არქიტექტორმა, კობახიძეა გვარად, მითხრა, რომ რთულია მისი ყოფა-ცხოვრება, დღედაღამ შრომაში ვარო.



ბოლოს და ბოლოს, თქვენთვის თუ გრჩებათ დრო-მეთქი, ვკითხე – კი, განსაზღვრული დრო მაქვსო.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** დიახ. მეც ვიყავი საფრანგეთში. იქ უფრო შენახულია სარწმუნოება, იმათ კიდევ ილუზიები აქვთ.

**უწმიდესი:** სამწუხაროდ, ეს ილუზიები უკვე ქრება. იყო ერთი დიდი მეცნიერი, ტერტულიანე. ის ამბობს, რომ ყოველი ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია. ადამიანს მუდამ ახასიათებს სულიერი კავშირი ღმერთთან. როდესმე ეს გამოჩნდება და ვერავითარი მიწიერი კეთილდღეობა ვერ შეცვლის სულის მოთხოვნებს.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** ნამდვილად. მეც მჯერა ეს.

**უწმიდესი:** უნდა ვეცადოთ, მივყვეთ სულის ხმას, არ დაგვკარგოთ კავშირი. ეს აუცილებელია.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** ბატონო ილია, თქვენ

გეცოდინებათ. ქრისტეს სუდარა რომ იპოვეს, ტურინის სუდარა.

**უწმიდესი:** დიახ. შენახულია ის ფარჩა.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** ღმერთო, რა საინტერესოა.

**უწმიდესი:** რა თქმა უნდა. თანამედროვე ადამიანს ყველაფრის ცოდნა ადვილს აღარ უტოვებს რწმენისათვის. ადრე ქრისტეს რეალურ არსებობასაც კი უარყოფდნენ, ახლა აღიარებენ. თუ ხელი მიგიწვდებათ და 1980 წლის ჟურნალ “ნაუკა ი ჟიზნის” პირველ ნომერს ნახავთ, ზუსტად ამის შესახებ წერია შიგ. პირველი საუკუნის მწერლებს აღწერილი აქვთ იესო ქრისტეს ცხოვრება. ეს ყოველივე სინამდვილეა.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** მამშვიდებს თქვენთან საუბარი იცით, იმდენს ვიძახი: ღმერთო, ღმერთო და არ ვიცი.

**უწმიდესი:** ჩვენ ვილოცებთ თქვენთვის, რომ ღმერთმა გაგაძლიეროთ.



## იღუმენიობის 25 წელი

თუ დაკვირვებული თვალი არ გაქვს და გულსაკიდ ჯვარს არ შეამჩნევ, შეიძლება ვერც გამოარჩიო სხვა დედებისაგან. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივად, წყნარი ნაბიჯით შემოვა ტაძარში, მოილოცავს ხატებს, გალობს დედათა გუნდში... ეს, ერთი შეხედვით, მაგრამ თუ თვალს შეახერებ, აღმოაჩენ, რომ



სხვანაირი ზრუნვა ეტყობა სახეზე, სხვანაირად ყოვლისმხედველი მზერა აქვს, სხვანაირი მოწიწებით ანულებენ ნაბიჯს და მოკრძალებით უხრიან თავს არა მხოლოდ დედები და სამთავროს მრევლი, არამედ მოსალოცად თუ უბრალოდ ექსკურსიაზე მოსული უცხოებიც. დედა ქეთევანის მხოლოდ იქ ყოფნითაც კი რაღაც სხვანაირი სიმშვიდე და მყუდროება ისადგურებს ეზოსა თუ სენაკში. ეს ის მაღლია, რომელიც თავისი მონოზენური ცხოვრების 25 წლის მანძილზე დაიუნჯა ლოცვით, სიფხიზლით, შრომითა და ბრძოლით, სიკეთით, სიხარულით და, ალბათ ტანჯვითაც, გამოიწროთ, განიწმინდა და ღირ-

სეულად იტვირთა უდიდესი პასუხისმგებლობა წმიდა ნინოს ლოცვით დაფუძნებული ჩვიდმეტსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციებისა და მოციქულებრივი ღვაწლის მქონე უბეველესი საგანის მესაჭისა.

ღვთის მაღლით, სამთავროს დედათა მონასტერს ყოველთვის ჰყავდა და დღესაც ჰყავს ამ ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი და ღირსეული „მწყემსი კეთილი“. იღუმენია ქეთევანი მონასტრის წინამორბედი წინამძღვრებისა და ღვაწლმოსილი დედების სულიერი მემკვიდრეა. იგია შეურყეველი გოდოლი და სიმტკიცე მონასტრის კრებულისა, უსასყიდლოდ დადგინებული მწყემსი ღვთისგან მიბარებულ პირმეტყველ ცხოვართა; ხელოვანი მკურნალი სულიერ სენთა და უძღურებათა, გულჩვილი დედა და მკაცრი დამცველი მონოზენურ აღთქმათა; იგია მაგალითი უფლისა და მოყვასისადმი ერთგულებისა და თავდადებისა, მუხლჩაუხრელი ლოცვისა და შრომისა, გულმხურვალე ჭირისუფალი და ქომაგი თავისი ერისა.

ღვთის განგებამ დედა იღუმენია უწყვეტი სულიერი სიმებით დააკავშირა ერის მამასთან ეკლესიური ცხოვრების პირველი დღიდანვე. უწმიდესისა და უნეტარესის უსაზღვრო ნდობა და მამობრივი ზრუნვა დღემდე უმსუბუქებს წინამძღვრობის მძიმე ჯვარს დედა ქეთევანს. პატრიარქისადმი ქრისტესმიერი სიყვარული და შეუორგულე ბელი მორჩილება, მწყემსმთავრის ლოცვა-კურთხევა მფარველობს და განამტკიცებს სამთავროს მონასტერს.

ასევე, შემთხვევითი არაა, რომ წმიდა ბერი გაბრიელი ურწმუნოების მძიმე წლებში სწორედ აქ, სამთავროში, იმ ადგილას ცხოვრობდა, საიდანაც წარმართობის მსხვერვა დაიწყო და მოგვეფინა ნათელი ქრისტესი; მრავალი სიძნელე დაადლევინა და დიდი



გამოცდილება შესძინა დედა იღუმენიას სამთავროს მონასტერში წმიდა ბერი გაბრიელის ყოფნამ, მისმა დაფარულმა სიბრძნემ, წვრთნამ, სწავლებამ და ღვთივსულიერმა დარიგებებმა. „მასში სიბრძნეს ვხედავო“, უთქვამს მამა გაბრიელს დედა ქეთევანზე ერთ-ერთი მონოზენისათვის. ისიც ახსოვთ, სიონის ტაძრის ეზოში მომავალი წინსაფრიანი მორჩილის დანახვაზე როგორ შესძახა თურმე მამა გაბრიელმა, „დაიხოქეთ, საქართველოს დედა მოდისო“. წმიდა ბერი ჭეშმარიტად ხედავდა დედა იღუმენიას, როგორც მართლმადიდებლური მრწამსისა და მონოზენური ტრადიციების ერთგულ დამცველსა და გამგრძელებელს და დედას მრავალთა.

ძილზე გასწია, დალოცა და სიყვარულით მიულოცა ღირსახსოვარი თარიღი, იღუმენიად კურთხევის 25 წელი.

დედა იღუმენიას დიდი სიყვარულით, მოკრძალებითა და პატივისცემით მიულოცეს იუბილე საქართველოს სხვადასხვა დედათა მონასტრების იღუმენიებმა, რომელთა მონოზენური გზა სამთავროში დაიწყო. მათ ტკბილად გაიხსენეს აქ გატარებული წლები, დედა ქეთევანის ზრუნვა და სიყვარული, მისგან მიღებული სულიერი სწავლება და რჩევადარიგებანი; აღნიშნეს დედა იღუმენიას ღვაწლი სამთავროს უძველესი სავანის აღმშენებლობაში და კვლავაც მრავალჟამიერი სიცოცხლე უსურვეს ღვთის სადიდებლად და მოყვასის სანუგეშოდ.



იღუმენია ქეთევანი; მარჯვნივ: იღუმენია ნინო, იღუმენია ანა, იღუმენია თეკლა; მარცხნივ: იღუმენია პელაგია, იღუმენია დინარა, იღუმენია მარიამი, იღუმენია მარიამი, იღუმენია ბარბარე

2016 წლის 19 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში დედა ქეთევანს მესამე ოქროს გამშვენებული ჯვარი გადასცა იმ ღვაწლისათვის, რაც მან თავისი იღუმენიობის მან-

თავად დედა ქეთევანი მხოლოდ, ღვთის მოწყალებასა და პატრიარქის ლოცვა-კურთხევის ძალას მიაწერს ყველა თავის საქმესა და ნამუშავეს: „საავადყოფოში მონახულებისას უწმიდესმა მითხრა: „იცით,

დმერთმა რატომ გადაგარჩინათ? – დიადი საქმეები უნდა აღასრულო.“

მართლაც, ბოლო ათწლეულის მანძილზე მრავალი რამ შეიცვალა სამთავროს დედა-თა მონასტერში, კერძოდ: გამშვენდა ტაძარი, აშენდა საეკლესიო მალაზია, კეთილმოეწყო მონასტრის ბაღი; გაიხსნა სამთავროს მონასტრის მუზეუმი, რომელიც, სპეციალისტების შეფასებით, ერთ-ერთი საყურადღებოა საქართველოს საგამოფენო სივრცეში. გამოიცა ძვირფასი წიგნი „წმიდა ნინო – ემბაზი ქართლისა“. მონასტერი გამოსაცემად ამზადებს მონასტრული ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ბუკლეტებს, ფოტოალბომებს, ასევე, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, მალე გამოვა ჟურნალი „ბედნიერი ოჯახი“.

ღვთის ნებით, ჟამთა სიმრავლემ საჩინო

ჰყო იღუმენია ქეთევანის ხილული თუ უხილავი ღვაწლი, მისი უეჭველი სარწმუნოება, მონოზენური სიმტკიცე, წინამძღვრის სიბრძნე-სიმდაბლე და მოთმინება. იგი, „ვიტარცა ხე, დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა,“ დღითიდღე ივსება კეთილი ნაყოფით. დედა იღუმენიას ღრმა სულიერებამ, სიკეთემ და სითბომ მრავალი მოიხიდა და შემოკრიბა სამთავროს სავანეში; დღეისათვის მონასტერში 45 მონოზონი და 8 მორჩილი მოღვაწეობს.

ღვთის მადლი და წყალობა და ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობლის, უწმიდესისა და უნეტარესის, დიდი მეუფის ილია II-ის ლოცვა-კურთხევა არ მოჰკლებოდეს ჩვენს საყვარელ დედა იღუმენიას აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!



## სვეტიცხოველი

„ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოველის დიდ ტაძარში  
საქართველოს ცხელი გული ასვენია!“

ლადო ასათიანი

სვეტიცხოველი ქართლის გულია,  
ქრისტეს აღდგომის სიხარულია,  
ხე ცხოვრებისა – ედემს რგულია,  
„აქედით ღმერთსა“ აღილუია.

სვეტიცხოველი ღვთის საყდარია,  
საიდუმლოთა მაუნჯებელი,  
ქვეყნიერების დედოზარია,  
მარადისობის მაუწყებელი.

სვეტიცხოველი ქრისტეს ჯვარია,  
ძველ და ახლისა აღთქმის დამტკევი,  
სადა უფლისა, ქრისტეს კვართია,  
წმიდა ილიას მადლის ხალენი.

„დედა ყოველთა ეკლესიათა“ –  
ასე უწოდებს ქართველი ერი,  
ვახის ვენახი, რქაშვენიერი,  
ივერიელთა მცველი, მფარველი.

არაგვისა და მტკვრის შესართავთან  
მეფურად მდგარი სვეტიცხოველი,  
წარსულის რავდენ სიავეს ფარავს,  
რწმენის კარიბჭე, შეურყეველი.

სვეტიცხოველი ქართლის დიდება,  
წმიდა ქალაქის, მცხეთის ღირსება,  
ნინო?ს ლოცვით ღმერთმან ინება  
საუფლო კვართის გამობრწყინება.

მოციქულთსწორის ქადაგებითა,  
მირიან მეფის ღვაწლით, ნებითა,  
სვეტიცხოველის აღშენებითა  
იბერიაში რწმენა განმტკიცდა.

სვეტიცხოველო, ღვთივსაკვირველო,  
უღიადესო, უპირველესო,  
ქერუბინთასა საგალობელო,  
ბელიარისა დამამხობელო.

სვეტიცხოველო „ცათ მობაძავო“,  
მოციქულთასა სახელდებულო,  
ყოვლადწმიდისა ხელითქსოილო –  
კვართო უფლისა, ყოვლადქებულო.

სვეტიცხოველო, კვართო საუფლოვ,  
მცხეთა – ქალაქსა დაუნჯებულო,  
მირონწყარო, კეთილსუნნელო,  
სამეფო ბაღში დავანებულო.

სვეტიცხოველო, ზეადმართულო,  
ნაკვეთ-ნაძერწო, სხივმოქარგულო,  
ოქროსპერანგო მუნვე დაფლულო,  
ღირს სიღონიას მკერდსჩაკვართულო.

სვეტიცხოველო, ივერთ ჯავარო,  
ვითა სამყარო, თვალთშეუდგამო,  
გორგასალისა, ქართველთ მეფეთა –  
ბაგრატოვანთა ძვალთშესალაგო.

სვეტიცხოველო, საუნჯევ ჩვენო,  
სადმართო ემბაზო, მზის უნათლესო,  
პატრიარქთა და ეპისკოპოსთა  
წმიდა მეფეთა მირონმცხებელო.

საქართველოში რაც ტაძრებია,  
ნიკორწმიდა თუ ალავერდია . . .  
კლდეში ნაკვეთი „აქა“ ვარძია,  
ქრისტიანობის ნიშანსვეტია.

ხომ ლამაზია ტაო-კლარჯეთი,  
ოშკი, ხახული, ბანა, ტანძია . . .  
გარნა ბერმუხა სვეტიცხოველი,  
დედაბურჯია, ქვეყნის განძია.

იდუმენია ქეთევანი  
მცხეთა – სამთავრო  
2016 წ.

# სამთავროს მონასტერში მუზეუმი დაარსდა

აღსანიშნავია საქართველოს ძველი და ახლადდაარსებული მუზეუმები: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, დადიანების, ლადო ასათიანის, თეოფილანტის, გრემ-ნეკრესის; იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (1924 წ.), აგებული არქიტექტორ ანატოლი კალგინის მიერ (ანატოლი კალგინი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია სამთავროს მონასტრის სასაფლაოზე). კახეთის მეფეთა პალატა, რომელშიც დაცულია მეფეთა ისტორიული დოკუმენტები – ბეჭდიანი სიგელები; მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი და მრავალი სხვა.

დიდი ისტორიული წარსულის მქონე



წმიდა ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერიც მრავალ სიძველეს ინახავს. მონასტერი VI ს-დან XIX ს-მდე წარმოადგენდა საეპისკოპოსო რეზიდენციას, რომელშიც მრავალ სიწმიდესთან ერთად ძვირფასი საღვთისმსახურო და სასულიერო წიგნებით აღჭურვილი უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, როდესაც დაინგრა და განადგურდა მრავალი ეკლესია-მონასტერი და მათთან არსებული საგანმანათლებლო კერები, გაუქმდა სამთავროს საეპისკოპოსო კათედრაც. ეს ვითარება მიიმედ აისახა სამთავროს მონასტრის ისტორიაში, ვინაი-

ან საგანემ სწორედ ამ დროს დაკარგა თავისი ძვირფასი ნივთიერი ქონების უმეტესი ნაწილი. 1820 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაუდაზურებული საგანის ადგილას დედათა მონასტერი დაარსდა, დაიწყო მისი ხელახალი აღორძინება. ამ საქმეს სათავეში ედგნენ საგანის სახელოვანი იღუმენები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უფროსი და უმცროსი ნინო ამილახვრების ღვაწლი. მათი ძალისხმევით სამთავროს მონასტერმა კვლავ დაიბრუნა თავისი ძველი დიდებულება.

ყოველი წინამძღვრის მიერ დანატოვარი ტრადიცია, ნივთიერი წყარო თუ სიწმინდე დღემდე შემორჩენილი მონასტერში, რაშიც უდიდესი დამსახურება საგანის ამჟამინდელ წინამძღვარს, იღუმენია ქეთევანს (კოპალიანი - წინამძღვარი 1991 წლიდან) მიუძღვის. იგი წინამძღვრობის პირველივე წლებიდან დიდ ყურადღებას იჩენდა წინაპართა დანატოვარ სიძველეთა მიმართ, ყველა ნივთს თავი ერთად მოუყარა და წლების განმავლობაში საგანგებოდ კრძალვით ინახავდა. დედა იღუმენიას სურვილი ჰქონდა ძველ დედათაგან შემორჩენილი საუნჯე არა მხოლოდ მონასტერში მცხოვრებთათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი, არამედ,

როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაეცნო ფართო საზოგადოებისათვის. ამ მიზნით 2015 წელს მონასტრის ტერიტორიაზე საეკლესიო მალაზიის გვერდით საფუძველი ჩაეყარა ისტორიული მნიშვნელობის მქონე მუზეუმის მშენებლობას. ღვთის განგებით, 2016 წლის 2 ნოემბერს, ღირსი მამა გაბრიელის ხსენების დღეს, მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა, ა.წ. 15 ნოემბერს კი მონასტრის მუზეუმს საპატიო სტუმარი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია; მან დიდი შეფასება მისცა მუზეუმის დაარსებას, როგორც

ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს და ჩანაწერი დატოვა მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში.

იღუმენია ქეთევანის ლოცვა-კურთხევით მუზეუმის კეთილმოწყობაში ჩართულები იყვნენ გამოცდილი სპეციალისტები: საქართველოს თავად-ახნაურთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე ბატონი მალხაზ ამაშუკელი, რომელიც 25 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი გახლდათ და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპერტი, ბატონი ნოდარ ახალკაცი. მათ გვერდით მუზეუმის გამართვაში მონაწილეობას იღებდა ინჟინერ-რესტავრატორი ვია გვიმრაძეც. პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული კოლექტივის თავდაუზოგავი შრომის შედეგად მუზეუმმა გახსნისთანავე მიიზიდა უამრავი დამთვალიერებელი.

მუზეუმი კონცენტრირებულია შემდეგ კატეგორიებზე: სახვითი ხელოვნება, ისტორია, არქეოლოგია, მეცნიერება და ეთნოგრაფია (III-XIX ს.ს.).

საგანის კუთვნილი ნივთების გარდა, ზოგიერთი ექსპონატი მონასტერმა საჩუქრად მიიღო კერძო პირის არქივიდან, მაგ.: ლევან გოთუას სახარება და მისი გადასახლების დროინდელი მადაროს ქუდი, რომელიც მისმა ძმისშვილმა მაია გოთუამ საგანეს გადასცა. აქვეა მაია გოცირიძის მიერ შემოწირული ვარდის ხის ძველებური კარადაც. ზოგიერთი ისტორიული ღირებულების ექსპონატი მონასტერმა საგანგებოდ შეიძინა. მაგ., ხევსური ქალის ორსაუკუნოვანი სრული შესამოსელი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ საგანეს დაუბრუნა საპატრიარქოში დაცული სამთავროს XI საუკუნის კანკელის უნიკალური ფრაგმენტები. მონასტერს ასევე



იღუმენია ნინო ამილახვრის (უმცროსი) კუთხე

გადმოეცა საგანის ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ექსპონატები, რომლებიც წლების განმავლობაში მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის კუთვნილებას წარმოადგენდა. ესენია: მინის მძივი (III ს.), თიხის ჭურჭელი (V ს.), პილასტრის კაპიტელის ფრაგმენტი (V ს.), მოჭიქული კერამიკის ნაწილები (XII-XIII ს.ს.) და ანტიეფიქსი ჯვრის გამოსახულებით (XII-XIII ს.ს.).

მუზეუმში მონასტრის ყველაზე დიდი სიწმიდე, სვეტიცხოვლის წმიდა ნაწილია დაბრძანებული.

წერილობითი წყაროების თანახმად, სვეტიცხოვლის წმიდა ნაწილი წმიდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას საფლავის ზემოთ მდებარე საიდუმლოდ დაფარულ ნიშში ინახებოდა. ასე იყო მანამ, ვიდრე 1990-იანი წლების ბოლოს ღირს მამა გაბრიელს საღმრთო გამოცხადებით არ ეუწყა სვეტიცხოვლის ნაწილის შესახებ. ამასთან, ანგელოზმა ზუსტად მიანიშნა ის ადგილიც, სადაც წმიდა ნაწილი იყო დაბრძანებული. ხილვის შემდგომ მამა გაბრიელმა მონასტრის წინამძღვართან და დედებთან ერთად სვეტიცხოვლის ნაწილი ნიშიდან კრძალვით გადმოასვენა და საკურთხეველში ტრაპეზზე დააბრძანა. ამჟამად სვეტიცხოვლის წმიდა ნაწილი

დაცულია ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ვერცხლის ლუსკუმაში, რომელსაც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შემოწირული მინანქრისჯვრიანი თეთრი მარგალიტის სკვნილი ამკობს.

მუზეუმში ორი კუთხე საგანგებოდაა შექმნილი: ღირსი მამა გაბრიელისა და იღუმენია ნინო ამილახვრისა (უმცროსი), სადაც მათი პირადი ნივთებია დაბრძანებული. წმიდა ბერის კუთხეში ინახება მისი ხელით დაწერილი ანდერძი, შესამოსელი, ჯვარი, დიადემა, ჩაიდანნი, ნავთქურა, საათი, სკამი, ქუდი



სვეტიცხოვლის წმიდა ნაწილი

და ნარი, რომელზეც მამა გაბრიელი ესვენა. იღუმენია ნინო ამილახვრის კუთხეს ამშვენებს საიღუმენიო ჯვარი და წმიდა მთავრინა ელიზავეტას მიერ გამოგზავნილი სამკერდე ნიშნები. აქვეა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მონასტრის დაარსების ოფიციალური ცნობა. სავანის მომდევნო იღუმენიათა პირადი ნივთებიდან მუზეუმის კოლექციაში ინახება იღუმენია ნინო ციციშვილის სკამი და იღუმენია ანა აჭაიძის მიერ მოთელილი დეკორატიული თექა, სკვნილი და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ბეჭდური გამოცემებიდან აღსანიშნავია XVI-II-XIX სს-ის საღვთისმსახურო წიგნები - ბიბლია, ერეკლე II დროინდელი სამღვდლო კონდაკი და ჟამნი.

სამუზეუმო კოლექციაში ორი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ინახება: პირველი წარმოადგენს საღვთისმსახურო ტიპიკონურ ლოცვა-

თა ჩანაცვლების წესს შესაბამისი რაოდენობის „იესოს ლოცვით“, რომელიც შესრულებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ხელით. ხოლო მეორე ხელნაწერი წმიდა ექვთიმე აღმსარებლის მიერ (კერესელიძე - მონასტრის მოძღვარი 1919-1945 წლებში) გადაწერილი სანოტო კრებულია, რომელშიც 13 ცალხმიანი საგალობელია შეტანილი.

მუზეუმში გამოფენილია ექსპონატები, რომლებიც მონასტერში მოღვაწე დედათა შემოქმედებასა და მათი ყოფა-ცხოვრების აღწერის მნიშვნელოვან მასალას შეიცავს. აქვეა მონოზენების მიერ შალის ძაფისაგან ნაქსოვი ხალიჩა (ქილიმი), ნაქარგობათა ნიმუშები და XIX საუკუნის ფოტომასალა.

სახვითი ხელოვნების კატეგორიაში თავს იყრის XVIII-XIX საუკუნეებით დათარიღებული ხატწერის ნიმუშები. მათ შორის აღსანიშნავია: ხბოს ტყავზე შესრულებული ხატი წმიდა გიორგისა, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ეთიოპიიდან ჩამოაბრძანა და მონასტერს შესწირა; წმიდა ევსტათი პლაკიდას ოჯახის ნაქარგი ხატი, შესრულებული სოფიო ბაგრატიონ-თარხნიშვილის (გიორგი XII-ის ქალიშვილი) მიერ ვერცხლმკედის, ოქრომკედის, ზეზისა და აბრეშუმის ძაფებით (1757 წ.); ტიხვინის ღვთისმშობლის ვერცხლმკედის პერანგი, იღუმენია ნინო ამილახვრის სენაკის ხატი და სხვ.

მუზეუმის შესასვლელს წმიდა იოანე კრონშტანტელის მიერ შემოწირული დიდი ზარი ამშვენებს.

ეს მცირედი ჩამონათვალი მხოლოდ გარკვეული ნაწილია სამთავროს მუზეუმის სრული კოლექციისა, დანარჩენ ნიმუშებს კი მონასტერში მომსვლელები და სიძველეთა მოყვარულები, იმედია, თავად გაეცნობიან.

მოამზადა მონოზონმა ნინომ  
(სამხარაძე)

# უწმინდასის სტუმრობა სამთავროს დადათა მონასტრის მუზეუმში



